

შპს „ყვარელი პალასი“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „ყვარელი პალასი“
სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა - განმარტებითი შენიშვნები	10
დასკვნის ბოლო გვერდი	38

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ყვარელი პალასი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ყვარელი პალასი“-ს (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნულ თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველის“ ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

საანგარიშგებო პერიოდის დასასრულში ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, დავსწრებოდით ძირითადი საშუალებების სასტუმროს ინვენტარისა და სხვა ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას. მათ შორის ვერ შევძელით ალტერნატიული გზებით აღნიშნული ჯგუფების დადასტურება, რომლებიც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული იყო 1,143,608 და 43,867 ლარის ოდენობით, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,295,545 და 37,408 ლარად. ასევე ვერ შევძელით დაგვედგინა, რამდენად არსებობდა კორექტირებების საჭიროება კომპანიის მიერ სასტუმროს ინვენტარისთვის გაანგარიშებულ ცვეთის ხარჯთან დაკავშირებით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ, მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, მმართველობის ანგარიშგება შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება კანონმდებლობით.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონით. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით, დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად არასწორია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია მისთვის განსაზღვრულ მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძვლის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ

ადმოქმედების რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა, მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;

- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება;
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ანა ოსიყმიშვილი.

ანა ოსიყმიშვილი

მპს „ქუდოს ჯორჯიას“ სახელით

28 სექტემბერი, 2021 წ.

თბილისი, საქართველო

- ადმოქმედების რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა, მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის შესაბამისობა და საადრიცხო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება;
 - საადრიცხო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი;
 - ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვანად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ანა ოსიყმიშვილი.

ანა ოსიყმიშვილი

შპს „ქუდოს ჯორჯიას“ სახელით

28 სექტემბერი, 2021 წ.

თბილისი, საქართველო



შპს „ყვარელი პალასი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარში)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	13,131,121	15,371,848
აქტივის გამოყენების უფლება	6	53,984	60,462
არამატერიალური აქტივები	7	158,748	181,483
სულ გრძელვადიანი აქტივები		13,343,853	15,613,793
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	8	76,085	279,576
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	49,451	61,585
გადახდილი ავანსები	10	127,902	91,850
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	11	145,677	143,523
საგადასახადო აქტივი	12	-	211,803
სულ მიმდინარე აქტივები		399,115	848,799
სულ აქტივები		13,742,968	16,402,130
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	13	2,001,000	8,861,630
სულ გრძელვადიანი სესხები		2,001,000	8,861,630
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	123,880	703,691
მიღებული ავანსები	15	83,332	40,763
სხვა ვალდებულებები		5,537	51,191
მოკლევადიანი სესხი	13	13,150	1,914,612
საიჯარო ვალდებულება	16	60,181	62,679
საგადასახადო ვალდებულებები	12	97,922	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		384,002	2,772,936
სულ ვალდებულებები		2,385,002	11,634,566
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17	14,255,126	7,153,598
გაუნაწილებელი მოგება		(2,897,160)	(2,386,034)
სულ კაპიტალი		11,357,966	4,767,564
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		13,742,968	16,402,130

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი:

ლევან ვაშაკიძე

გვერდებზე 10-38 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ყვარელი პალასი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარში)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	13,131,121	15,371,848
აქტივის გამოყენების უფლება	6	53,984	60,462
არამატერიალური აქტივები	7	158,748	181,483
სულ გრძელვადიანი აქტივები		13,343,853	15,613,793
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	8	76,085	279,576
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	49,451	61,585
გადახდილი ავანსები	10	127,902	91,850
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	11	145,677	143,523
საგადასახადო აქტივი	12	-	211,803
სულ მიმდინარე აქტივები		399,115	848,799
სულ აქტივები		13,742,968	16,402,130
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	13	2,001,000	8,861,630
სულ გრძელვადიანი სესხები		2,001,000	8,861,630
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	123,880	703,691
მიღებული ავანსები	15	83,332	40,763
სხვა ვალდებულებები		5,537	51,191
მოკლევადიანი სესხი	13	13,150	1,914,612
საიჯარო ვალდებულება	16	60,181	62,679
საგადასახადო ვალდებულებები	12	97,922	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		384,002	2,772,936
სულ ვალდებულებები		2,385,002	11,634,566
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17	14,255,126	7,153,598
გაუნაწილებელი მოგება		(2,897,160)	(2,386,034)
სულ კაპიტალი		11,357,966	4,767,564
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		13,742,968	16,402,130

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი:

ლევან ვაშაკიძე



გვერდებზე 10-38 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ყვარელი პალასი“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარში)
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	2020 წ.	2019 წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან	18	2,419,120	2,243,042
თვითღირებულება	19	(762,490)	(525,956)
სულ შემოსავალი		1,656,630	1,717,086
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	20	(667,534)	(737,250)
შრომის ანაზღაურება		(1,233,530)	(1,118,503)
ცვეთა და ამორტიზაცია		(975,513)	(453,042)
საპროცენტო ხარჯი	21	(1,080,033)	(315,900)
საპროცენტო შემოსავალი	22	215,551	313
არასაოპერაციო ხარჯი	23	(1,487,948)	(14,262)
არასაოპერაციო შემოსავალი	24	1,671,150	38,193
გრანტის შემოსულობა	25	1,396,555	132,497
მოგება/ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		4,011	2,794
საექვო და უიმედო ანარიცხების ხარჯი		(6,965)	(16,663)
პერიოდის შედეგი დაბეგვრამდე		(507,626)	(764,737)
მოგების გადასახადი		(3,500)	(1,631)
პერიოდის შედეგი		(511,126)	(766,368)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი:

ლევან ვაშაკიძე


გვერდებზე 10-38 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ყვარელი პალასი“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარში)
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	2020 წ.	2019 წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან	18	2,419,120	2,243,042
თვითღირებულება	19	(762,490)	(525,956)
სულ შემოსავალი		1,656,630	1,717,086
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	20	(667,534)	(737,250)
შრომის ანაზღაურება		(1,233,530)	(1,118,503)
ცვეთა და ამორტიზაცია		(975,513)	(453,042)
საპროცენტო ხარჯი	21	(1,080,033)	(315,900)
საპროცენტო შემოსავალი	22	215,551	313
არასაოპერაციო ხარჯი	23	(1,487,948)	(14,262)
არასაოპერაციო შემოსავალი	24	1,671,150	38,193
გრანტის შემოსულობა	25	1,396,555	132,497
მოგება/ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		4,011	2,794
საექვო და უიმედო ანარიცხების ხარჯი		(6,965)	(16,663)
პერიოდის შედეგი დაზღვევამდე		(507,626)	(764,737)
მოგების გადასახადი		(3,500)	(1,631)
პერიოდის შედეგი		(511,126)	(766,368)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი:



ლევან ვაშაკიძე

გვერდებზე 10-38 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ყვარელი პალასი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ლარში)
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ბალანსი 31.12.2018	6,584,508	(1,619,665)	4,964,843
პერიოდის შედეგი	-	(766,368)	(766,368)
კაპიტალის ზრდა	569,090	-	569,090
ბალანსი 31.12.2019	7,153,598	(2,386,033)	4,767,565
პერიოდის შედეგი	-	(511,126)	(511,126)
კაპიტალის ზრდა	7,101,528	-	7,101,528
ბალანსი 31.12.2020	14,255,126	(2,897,159)	11,357,967

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი:

ლევან ვაშაკიძე

გვერდებზე 10-38 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ყვარელი პალასი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ლარში)
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ბალანსი 31.12.2018	6,584,508	(1,619,665)	4,964,843
პერიოდის შედეგი	-	(766,368)	(766,368)
კაპიტალის ზრდა	569,090	-	569,090
ბალანსი 31.12.2019	7,153,598	(2,386,033)	4,767,565
პერიოდის შედეგი	-	(511,126)	(511,126)
კაპიტალის ზრდა	7,101,528	-	7,101,528
ბალანსი 31.12.2020	14,255,126	(2,897,159)	11,357,967

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი:



ლევან ვაშაკიძე

გვერდებზე 10-38 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ყვარელი პალასი“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ლარში)
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

არაპირდაპირი მეთოდი

	2020 წ.	2019 წ.
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
ზარალი დაბეგვრამდე	(511,126)	(766,368)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	975,513	453,042
ზარალი/ (მოგება) საკურსო სხვაობიდან, წმინდა	4,011	2,794
საექვო და უიმედო ანარიცხების რეზერვი	23,628	16,663
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე	492,026	(293,869)
ცვლილება სამუშაო კაპიტალში		
მარაგების (შემცირება)/ზრდა	(2,154)	(143,523)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	(11,494)	(3,865)
გადახდილი ავანსები	(36,052)	694,252
საგადასახადო აქტივი	211,803	383,130
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (ზრდა)/კლება	(579,811)	693,987
აქტივის გამოყენების უფლების (ზრდა)/შემცირება	6,478	(60,462)
სხვა ვალდებულებების ზრდა	(45,654)	46,991
მიღებული ავანსები	42,569	40,763
საგადასახადო ვალდებულებები	97,922	-
საიჯარო ვალდებულების (ზრდა)/შემცირება	(2,498)	62,679
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	173,135	1,420,083
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	1,265,214	(7,988,048)
არამატერიალური აქტივების შეძენა	22,735	(181,483)
კაპიტალის ზრდა	7,101,528	569,090
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	8,389,477	(7,600,441)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხების მიღება	(8,762,092)	6,412,841
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	(8,762,092)	6,412,841
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(199,480)	232,482
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	279,576	49,888
საკურსო სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(4,011)	(2,794)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	76,085	279,576

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი:

ლევან ვაშაკიძე

შპს „ყვარელი პალასი“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ლარში)
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

არაპირდაპირი მეთოდით

	2020 წ.	2019 წ.
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
ზარალი დაბეგვრამდე	(511,126)	(766,368)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	975,513	453,042
ზარალი/ (მოგება) საკურსო სხვაობიდან, წმინდა	4,011	2,794
საექვო და უიმედო ანარიცხების რეზერვი	23,628	16,663
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე	492,026	(293,869)
ცვლილება სამუშაო კაპიტალში		
მარაგების (შემცირება)/ზრდა	(2,154)	(143,523)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	(11,494)	(3,865)
გადახდილი ავანსები	(36,052)	694,252
საგადასახადო აქტივი	211,803	383,130
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (ზრდა)/კლება	(579,811)	693,987
აქტივის გამოყენების უფლების (ზრდა)/შემცირება	6,478	(60,462)
სხვა ვალდებულებების ზრდა	(45,654)	46,991
მიღებული ავანსები	42,569	40,763
საგადასახადო ვალდებულებები	97,922	-
საიჯარო ვალდებულების (ზრდა)/შემცირება	(2,498)	62,679
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	173,135	1,420,083
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	1,265,214	(7,988,048)
არამატერიალური აქტივების შეძენა	22,735	(181,483)
კაპიტალის ზრდა	7,101,528	569,090
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	8,389,477	(7,600,441)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხების მიღება	(8,762,092)	6,412,841
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	(8,762,092)	6,412,841
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(199,480)	232,482
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	279,576	49,888
საკურსო სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(4,011)	(2,794)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	76,085	279,576

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი:



ლევან ვაშაკიძე

გვერდებზე 10-38 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ყვარელი პალასი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 241582649), დარეგისტრირებულია საქართველოში. იგი დაარსდა 2009 წლის 29 ივნისს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ყვარელი, ჭავჭავაძის ქ. N52.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს მომხმარებლებისთვის სასტუმროს მომსახურების მიწოდება.

2018 წლის 17 იანვრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლები იყვნენ:

დასახელება	წილი
თამაზი კონჭოშვილი	7.65%
კახაბერი კონჭოშვილი	2.55%
შპს აგროგანვითარება	89.8%

2018 წლის 17 იანვრიდან კი შპს „აგროგანვითარება“-მ გამოიყიდა წილი დანარჩენი მესაკუთრეებისგან და გახდა კომპანიის 100% მესაკუთრე.

2020 წლის მდგომარეობით შპს „აგროგანვითარების“ დამფუძნებლები არიან:

მესაკუთრეები	პროცენტული წილი
არჩილ გეგენავა	37.85%
ივანე ნიკოლაიშვილი	23%
გიორგი ჩუბინიშვილი	23%
ანდრო გეგენავა	16.15%

2020 წელს შპს „ყვარელი პალასის“ დირექტორი, ნანა მყავანაძე, შეცვალა ლევან ვაშაკიძემ.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. საანგარიშგებო პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
1 USD/GEL	3.2766	2.8677
1 EUR/GEL	4.0233	3.2095

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისა და განმარტებითი შენიშვნებისგან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

რადგან 2020 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ბასს-ის (IASB) ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. მიუხედავად კორონა ვირუსის პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებისა, კომპანიის საქმიანობა არ შეჩერებულა, მენეჯმენტმა მიმოიხილა ეკონომიკაზე გლობალური პანდემიის ნეგატიური გავლენის ეფექტი, რის შედეგადაც ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ კომპანიამ მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით. რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცემა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისთვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება.

შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვები ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შემენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანამშრომლის ჩათვლით), მრჩეველის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწრა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისთვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი)

აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით, როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორიცაა დებიტორის

საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული ფულადი ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 3-დან 12 თვემდე ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, ბალანსზე აღიარდება როგორც შეზღუდული ფულადი სახსრების ექვივალენტები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთისთვის:

	სასარგებლო ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	20-25
მანქანა-დანადგარები	7
ოფისის აღჭურვილობა	7
ავეჯი და სხვა ინვენტარი	7
სხვა ძირითადი საშუალებები	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს შემოსავლები სასტუმროს მომსახურებიდან. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანია აღიარებს შემოსავალს გაწეული მომსახურების მიხედვით იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ მომსახურების გაწევის სანაცვლოდ.

ფინანსური და საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

კომპანია როგორც მეიჯარე

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

ფინანსური იჯარა

ფასს 16-ის მიერ დაშვებული პრინციპის შესაბამისად მენეჯმენტის გადაწყვეტილებით არჩეულ იქნა მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომა. კერძოდ, ფასს 16-ის გ5 (ბ) პუნქტის მიხედვით:

მოიჯარემ ყველა იჯარასთან მიმართებით წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს:

მოიჯარეები

ბ) რეტროსპექტულად, ამ სტანდარტის პირველად გამოყენებით გამოწვეული კუმულაციური ეფექტის აღიარებით თავდაპირველი გამოყენების თარიღით, გ7-გ13 პუნქტების შესაბამისად.

გ7. თუ მოიჯარე გადაწყვეტს ამ სტანდარტის გამოყენებას გ5(ბ) პუნქტის შესაბამისად, მას არ ევალება შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება. ამის ნაცვლად, მოიჯარემ ამ სტანდარტის პირველად გამოყენებით გამოწვეული კუმულაციური ეფექტი უნდა აღიაროს, როგორც გაუნაწილებელი მოგების (ან საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტის, საჭიროებისამებრ) საწყისი ნაშთის კორექტირება, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის.

საოპერაციო იჯარად კლასიფიცირებული იჯარა

გ8. თუ მოიჯარე გადაწყვეტს ამ სტანდარტის გამოყენებას გ5(ბ) პუნქტის შესაბამისად, მან უნდა:

ა) აღიაროს საიჯარო ვალდებულება სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით ისეთი იჯარისთვის, რომელიც ადრე ბასს 17-ის შესაბამისად კლასიფიცირებული იყო საოპერაციო იჯარად. მოიჯარემ აღნიშნული საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს დარჩენილი საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების ტოლი თანხით, რომელიც დისკონტირებული იქნება სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთით;

ბ) აღიაროს აქტივის გამოყენების უფლება სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით ისეთი იჯარისთვის, რომელიც ადრე ბასს 17-ის შესაბამისად კლასიფიცირებული იყო საოპერაციო იჯარად. მოიჯარემ თითოეული იჯარისთვის ცალ-ცალკე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, როგორ შეაფასებს აქტივის გამოყენების უფლებას:

- (i) საბალანსო ღირებულებით ისე, თითქოს წინამდებარე სტანდარტს იყენებდა იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან, მაგრამ მისი დისკონტირებით სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის არსებული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთის გამოყენებით; ან
- (ii) საიჯარო ვალდებულების ტოლი თანხით, რომელიც კორექტირებული იქნება იჯარასთან დაკავშირებით წინასწარ განხორციელებული ან დარიცხული საიჯარო გადახდების თანხით, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულია უშუალოდ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე;

გ) გამოიყენოს ბასს 36 – „აქტივების გაუფასურება“ – აქტივების გამოყენების უფლებებთან მიმართებით, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მოიჯარე იყენებს გ10(ბ) პუნქტში აღწერილ გამარტივებულ მიდგომას.

გ10. გ5(ბ) პუნქტის შესაბამისად, მოიჯარეს წინამდებარე სტანდარტის რეტროსპექტულად გამოყენებისას ერთი ან რამდენიმე ქვემოთ აღწერილი გამარტივებული მიდგომის გამოყენების უფლება აქვს ისეთ იჯარასთან მიმართებით, რომელიც წინათ ბასს 17-ის შესაბამისად კლასიფიცირებული იყო საოპერაციო იჯარად. ამასთან, მოიჯარეს ამ გამარტივებული მიდგომების გამოყენების უფლება აქვს ცალკეულ იჯარასთან მიმართებით:

გ) მოიჯარეს უფლება აქვს გადაწყვიტოს, რომ არ გამოიყენებს გ8 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ისეთ იჯარასთან მიმართებით, რომლის იჯარის ვადა სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში იწურება. ასეთ შემთხვევაში, მოიჯარემ:

- (i) ამგვარი იჯარა მოკლევადიანი იჯარის მსგავსად უნდა აღრიცხოს, როგორც ეს აღწერილია მე-6 პუნქტში; და
- (ii) ამ იჯარასთან დაკავშირებული დანახარჯი უნდა გაამჟღავნოს მოკლევადიანი იჯარის ხარჯის შესახებ გასამჟღავნებელ ინფორმაციასთან ერთად, იმ წლიურ საანგარიშგებო პერიოდში, რომელსაც განეკუთვნება სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღი.

თავდაპირველად კომპანია ფასიკ 4-ის შესაბამისად განსაზღვრავდა კონტრაქტი/შეთანხმება საწყისი აღიარებისას შეიცავდა თუ არა ლიზინგს. ფასის 16-ის ფარგლებში კომპანია აფასებს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის კომპანიამ შეაფასა თუ რომელი ოპერაციები წარმოადგენს იჯარას. ფასის 16 ეხება იმ კონტრაქტებს, რომლებიც წინა პერიოდში აღიარებული იყო როგორც იჯარა. შეთანხმებებზე, რომლებიც ბასის 17-ისა და ფასიკ 4-ის მიხედვით არ იყო იდენტიფიცირებული როგორც იჯარა, ფასის 16 არ ვრცელდება. შესაბამისად, იჯარის განმარტება ფასის 16-ის მიხედვით ვრცელდება მხოლოდ იმ კონტრაქტებზე, რომლებიც ძალაში შევიდა ან შეიცვალა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდგომ პერიოდში.

კომპანია გასულ პერიოდში იჯარის კლასიფიცირებისთვის იჯარა საოპერაციო იყო თუ ფინანსური, ეყრდნობოდა იმის შეფასებას იყო თუ არა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი გადაცემული მოიჯარისთვის. ფასის 16-ის მიხედვით კომპანია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას იჯარის უმეტეს შემთხვევაში.

კომპანიის სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის 2019 წლის 1 იანვრისთვის, საოპერაციო იჯარის აქტივის გამოყენების უფლების შესაფასებლად არ ითვალისწინებს საწყის პირდაპირ დანახარჯებს. ამ თარიღისთვის კომპანიამ აქტივის გამოყენების უფლების შესაფასებლად გამოიყენა იჯარის ვალდებულების ტოლი ოდენობა კორექტირებული იჯარასთან დაკავშირებით წინასწარ განხორციელებული ან დარიცხული საიჯარო გადახდების თანხით, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულია უშუალოდ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე.

კომპანია იყენებს აქტივის გამოყენების უფლების აღიარებისგან გათავისუფლების გამონაკლისს შემდეგ საოპერაციო იჯარებთან მიმართებით:

- იჯარები, რომელთა ვადა იწურება სტანდარტის პირველადი გამოყენების თარიღიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში;
- დაბალი ღირებულებების მქონე იჯარები.

იჯარები, რომლებიც წინათ აღრიცხული იყო როგორც ფინანსური იჯარა, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება იქნება საიჯარო აქტივისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება, რომელიც მათ ჰქონდა უშუალოდ ბასის 17-ის გამოყენებით შეფასებამდე.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით.

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

ინვესტიციები საწარმოში აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მოგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის შეფასება საგადასახადო ორგანოების შეფასებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს და ამან გამოიწვიოს საგადასახადო ორგანოთა მიერ ტრანზაქციების ექვემდებარება, რის გამოც კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მან გადაიხადა საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

სასამართლო დავები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება დაუკავშირებელ მხარეებთან.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობაზე ფასს 16-ში შეტანილი ცვლილება, რომელიც გამოიცა 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდეგ.

ეს შესწორება მოიჯარეს აძლევს შეღავათს, არჩევითი გათავისუფლების სახით იმის შეფასებისგან, COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. მოიჯარეებს შესაძლებლობა აქვთ აირჩიონ საიჯარო ქირის დათმობის აღრიცხვა ისე აწარმოონ, თითქოს ისინი არ წარმოადგენდეს იჯარის მოდიფიკაციას. პრაქტიკული მიზანშეწონილობა ვრცელდება მხოლოდ საიჯარო ქირის დათმობებზე, რომლებიც წარმოიქმნება, როგორც COVID-19 პანდემიის პირდაპირი შედეგი და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- იჯარის გადასახადების ცვლილებას შედეგად მოჰყვა იჯარის საზღაურის გადახედვა, რომელიც არსებითად იგივეა, ან ნაკლები, ვიდრე იჯარის საზღაური, რომელიც უშუალოდ ცვლილებამდე არსებობდა;
- იჯარის გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე გადასახდელ თანხებზე;
- იჯარის სხვა პირობებში არ ხორციელდება არსებითი ცვლილება.

კომპანიას არ გამოუყენებია აღნიშნული სტანდარტით დაშვებული საიჯარო ქირის დათმობები მეიჯარეებთან მიმდინარე წელს.

2020 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა შემდეგი შესწორებული სტანდარტები, თუმცა მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის საქმიანობაზე:

- ❖ ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- ❖ საწარმოს განმარტება – ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- ❖ არსებითობის განმარტება – ცვლილებები ასს 1-სა და ასს 8 (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- ❖ საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის რეფორმა-ფასს 9, ასს 39 და ფასს 7-ში შეტანილი შესწორებები (გამოშვებულია 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაში შესული იმ წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ).

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიამ ნაადრევად არ შემოიღო არის შემდეგი:

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასსის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს.

ცვლილებას არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე.

ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (გამოცემა 2017 წლის 18 მაისს და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ფასს 17 წარმოადგენს ფასს 4-ის ჩანაცვლებას, რომელმაც კომპანიები გაათავისუფლა სადაზღვევო ხელშეკრულებების არსებული პრაქტიკის მიხედვით აღრიცხვის გაგრძელების ვალდებულებისგან. ამის შედეგად ინვესტორებს გაუჭირდათ სხვა მხრივ მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური შედეგების ერთმანეთთან შედარება და ერთმანეთისგან განსხვავება.

ფასს 17 აგებულია ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულების, მათ შორის მზღვეველის ხელთ არსებული გადაზღვევის ხელშეკრულებების ერთიანი აღრიცხვის პრინციპზე. სტანდარტი მოითხოვს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარებას და შეფასებას:

- ❖ სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის მიხედვით კორექტირებული მიმდინარე ღირებულებით (ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები), რომელიც სრულად შეიცავს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების შესახებ ხელმისაწვდომ ინფორმაციას ისე, რომ შესაბამისობაში იყოს საბაზრო ინფორმაციასთან; არის პლუს (თუ მიღებული რიცხვი ვალდებულებას წარმოადგენს) ან მინუს ნიშნით (თუ მიღებული რიცხვი აქტივია);
- ❖ თანხით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულებების ჯგუფზე გამოუმუშავებელ მოგებას (სახელშეკრულებო მომსახურების მარჯა). მზღვეველები სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას აღიარებენ იმ პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც მათ გასწიეს სადაზღვევო მომსახურება და როდესაც ისინი თავისუფლდებიან რისკისგან. თუ ხელშეკრულებების ჯგუფი არის ან გახდება ზარალიანი, ბიზნეს-სუბიექტი დაუყოვნებლივ აღიარებს ზარალს.

ფასს-17 არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად – ცვლილებები ბასს 1-ში 1 (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ამ მცირე მასშტაბის ცვლილებებით განმარტებულია, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც არსებობს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ვალდებულება გრძელვადიანია, როდესაც საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს აქვს არსებითი უფლება, რომ ვალდებულების დაფარვა გადაავადოს სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებებით აღარ მოითხოვება, რომ მსგავსი უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის თაობაზე, საბოლოოდ გამოიყენებენ თუ არა ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმო ყველა შესაბამის პირობას აკმაყოფილებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, თუ რომელიმე პირობა დაირღვევა საანგარიშგებო თარიღით ან მანამდე, თუნდაც ამ პირობაზე უარი მომდინარეობდეს გამსესხებლისგან, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. ამასთან, ცვლილებები მოიცავს იმ ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომელიც კომპანიამ შეიძლება დაფაროს მისი კაპიტალში კონვერტირებით. 'დაფარვა' განმარტებულია, როგორც ვალდებულების აღმოფხვრა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომლებშიც ეკონომიკური სარგებელია განივთვებული, ან საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. გამოწვევების არსებობს კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება კაპიტალში კონვერტირდეს, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთა კონვერსიის ოფციონი კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი.

ცვლილებას არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება - შესწორებები ბასს 1-თვის (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის იანვრიდან ან მის შემდეგ).

ეს ბასს 1-ის შესწორება ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიცირებაზე, გამოცემულია 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, COVID -19 პანდემიის საპასუხოდ, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ მეტი დრო, განახორციელონ კლასიფიკაციის ცვლილებები, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით.

შემოსულობა გამიზნულ გამოყენებამდე; წამგებიანი კონტრაქტები - ხელშეკრულების პირობების შესრულების დანახარჯები, მინიშნება კონცეპტუალურ საფუძვლებზე - მცირემასშტაბიანი ცვლილებები ბასს 16-ში, ბასს 37-სა და ფასს 3-ში, და ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები, 2018-2020 – ცვლილებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-სა და ბასს 41-ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის)

ბასს 16-ში ცვლილებით აკრძალულია საწარმოს მიერ ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან იმ შემოსავლის გამოქვითვა, რომელიც მიღებულია ისეთი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, რომელთაც საწარმო გამიზნული დანიშნულებით ამზადებს. მსგავსი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მათი წარმოების დანახარჯებთან ერთად, მოგება-ზარალში აღიარდება. საწარმო ბასს 2-ს გამოიყენებს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ შეიცავს იმ აქტივის ცვეთას, რომლის ტესტირებაც მიმდინარეობს, რადგან ის მზად არ არის გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის. ბასს 16-ში ცვლილებით ასევე განმარტებულია, რომ აქტივის ტექნიკური და ფიზიკური შედეგების შეფასებისას საწარმო „ახორციელებს ტესტირებას, რათა დაადგინოს აქტივი სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა“. აქტივის ფინანსური შედეგები შეუსაბამოა ამ შეფასებისთვის. ამგვარად, აქტივი შეიძლება ვარგისი იყოს ხელმძღვანელობის მიერ გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის და მას ცვეთა ერიცხებოდეს მანამ, სანამ ის მიაღწევს საოპერაციო შედეგების დონეს, რომელსაც ხელმძღვანელობა მოელის.

ბასს 37-ში ცვლილებით განმარტებულია „ხელშეკრულების შესრულების დანახარჯების“ მნიშვნელობა. ახსნილია, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი დანახარჯები მოიცავს ამ ხელშეკრულების შესრულების ნაზარდ დანახარჯებს; ასევე, მის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების განაწილებას. ცვლილებაში განმარტებულია ასევე, რომ წამგებიანი ხელშეკრულებისთვის ცალკე ანარიცხის გაკეთებამდე საწარმო აღიარებს იმ აქტივების გაუფასურების ზარალს, რომლებიც გამოყენებულ იქნა ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის, ნაცვლად ამ ხელშეკრულებისთვის გამოყოფილი აქტივებისა.

ფასს 3-ში ცვლილება შევიდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან მიმართებით, რათა განისაზღვროს აქტივი ან ვალდებულება საწარმოთა გაერთიანებისას. ამ ცვლილებამდე ფასს 3 ეყრდნობოდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებს. ამასთან, ფასს 3-ს ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებებისთვის.

გამონაკლისი გულისხმობს, რომ საწარმომ, რომელიც ფასს 3-ს იყენებს, ზოგიერთი სახის ვალდებულებებსა და პირობით ვალდებულებებთან მიმართებით უნდა გამოიყენოს ბასს 37 ან ფასიკ 21, ნაცვლად 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებისა. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო ისეთ ვალდებულებებს აღიარებდა საწარმოთა გაერთიანებაში, რომლებსაც ის არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. ამგვარად, საწარმოს შეძენისთანავე მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და შემოსულობის აღიარება, რომელიც ეკონომიკურ შემოსულობას არ წარმოადგენს. ამასთან, განმარტებულია, რომ შემდგომ პირობითი აქტივები არ უნდა აღიაროს შეძენის თარიღით, როგორც ბასს 37-ში არის განმარტებული.

ფასს 9-ში შეტანილი ცვლილება ეხება იმის განსაზღვრას, რომელიც საზღაური უნდა შევიდეს ფინანსური ვალდებულებების აღიარებისთვის ჩატარებულ 10%-ის ტესტში. ღირებულება ან საზღაური შეიძლება გადახდილი იქნეს მესამე მხარის ან გამსესხებლისთვის. ამ ცვლილების მიხედვით მესამე მხარისთვის გადახდილი ღირებულება ან საზღაური არ უნდა შევიდეს აღნიშნული 10%-ის ტესტში.

ცვლილება შევიდა მე-13 საილუსტრაციო მაგალითში, რომელიც თან ერთვის ფასს 16-ს, რათა ამოღებულიყო საიჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მეიჯარის მიერ განხორციელებული გადახდების

ილუსტრირება. ამ ცვლილების მიზეზია იჯარის სტიმულირების გადახდების აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამორიცხვა.

ფასს 1-ით ნებადართულია გამონაკლისის გამოყენება, თუ შვილობილი საწარმო ძირითად საწარმოზე გვიან მიიღებს ფასს-ებს. შვილობილ საწარმოს შეუძლია თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებით შეფასება, რაც აისახება ძირითადი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ ყოფილა შეტანილი კონსოლიდირების პროცედურებისთვის და საწარმოთა იმ გაერთიანების ეფექტისთვის, რომლის ფარგლებში ძირითადმა საწარმომ შეიძინა შვილობილი საწარმო. ფასს 1-ში ცვლილება შევიდა, რათა საწარმოებს, რომლებმაც ფასს 1-ის აღნიშნული გამონაკლისით ისარგებლეს, შეძლებოდათ ასევე კუმულაციური გადაყვანის სხვაობების შეფასებინათ ძირითადი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხებით, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის აღნიშნული ცვლილება ვრცელდება ზემოაღნიშნულ კუმულაციურ გადაყვანის სხვაობებზე, რათა შემცირდეს პირველად შემომღებთა დანახარჯები. ეს ცვლილება ვრცელდება ასევე მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობებზე, რომლებიც ფასს 1-ის იგივე გამონაკლისით სარგებლობენ.

ამოღებულ იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომ რეალური ღირებულების ბასს 41-ის მიხედვით შეფასებისას გამოერიცხათ ფულადი ნაკადები დაბეგვრისთვის. ამ ცვლილების მიზანია სტანდარტის იმ მოთხოვნასთან შესაბამისობა, რომელიც გულისხმობს ფულადი ნაკადების დაბეგვრის შემდეგ საფუძველზე დისკონტირებას.

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის).

შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად, ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია მომდევნო შესწორებები ფასს 17-სვის:

- ძალაში შესვლის თარიღი: ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ;
- დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება: საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია;
- სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე: დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების“ ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს;
- ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან კომპანიისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული კომპანიის სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი

დაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს;

- სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები.

ცვლილებას არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე.

საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის (IBOR) რეფორმა – შესწორებების მეორე ფაზა ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16 –სთვის (გამოცემულია 2020 წლის აგვისტოში და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

მეორე ფაზის შესწორებები იმ საკითხებს ეხება, რომელიც რეფორმების გატარების შედეგად წარმოიქმნება, მათ შორის ერთი ათვლის წერტილის ალტერნატიული ვარიანტი შეცვლა. შესწორებები ფარავს შემდეგ სფეროებს:

- IBOR- ის რეფორმის შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების აღრიცხვა: ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც ვრცელდება ამორტიზებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს, რომ საწარმოებმა, გაითვალისწინონ ცვლილების საფუძველი, როგორც პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღრიცხონ IBOR- ის რეფორმის შედეგად მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პუნქტის სახელმძღვანელო მითითების გამოყენებით. შედეგად, არ აღიარდება მყისიერი შემოსულობა ან ზარალი. ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა მხოლოდ ისეთი ცვლილებისთვის და იმ დონემდე გამოიყენება, სანამ ის აუცილებელია, როგორც IBOR-ის რეფორმის შემდგომი შედეგი, ხოლო ახალი საფუძველი, ეკონომიკურად უტოლდება მანამდე არსებულ საფუძველს. მზღვევებს, რომლებიც იყენებენ ფასს-9-დან დროებით გათავისუფლებას, ასევე მოეთხოვებათ იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება. შესწორებები განხორციელდა ფასს 16-შიც, რათა IBOR-ის რეფორმის შედეგად სამომავლო საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების გამომწვევი იჯარის მოდიფიცირების აღრიცხვისას, იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება მოეთხოვოთ მოიჯარეებსაც
- ჰეჯირების ურთიერთობებში რისკის კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, 1-ლი ფაზის საშეღავათო პერიოდის დასრულების თარიღი: მე -2 ფაზის შესწორებების თანახმად, საწარმომ, პერსპექტიულ საფუძველზე, უნდა შეაჩეროს 1-ლი ეტაპის საშეღავათო პერიოდი რისკების იმ კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, ან არასახელშეკრულებო რისკის კომპონენტებში შეტანილი ცვლილებების განხორციელების, ან ჰეჯირების ურთიერთობის შეწყვეტისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება. რისკის კომპონენტებისთვის შესწორებების პირველი ფაზის დასრულების თარიღი არ არის მითითებული.
- დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან: მე-2 ფაზა გვთავაზობს ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებისგან დამატებით დროებით შეღავათს ბასს-ს 39 და ფასს 9-ის ჰეჯირების ურთიერთობებისგან, რომლებზეც პირდაპირ გავლენას ახდენს IBOR- ის რეფორმა.

IBOR-ის რეფორმასთან დაკავშირებული ფასს 7-ის დამატებითი განმარტებები: შესწორებები მოითხოვს შემდეგ განმარტებებს:

- (i) როგორ მართავს საწარმო ალტერნატიული ათვლის წერტილის განაკვეთებზე გადასვლას, ამის პროგრესი და გადასვლისგან გამოწვეული რისკები;
- (ii) იმ წარმოებულების და არაწარმოებულების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაცია, რომლებსაც გადასვლის პროცესი ჯერ წინ აქვთ, და რომელიც გადანაწილებულია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის მიხედვით, და
- (iii) რისკების მართვის სტრატეგიის ნებისმიერი ცვლილების IBOR-ის რეფორმის შედეგად აღწერა.

ცვლილებას არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე).

ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას.

ცვლილებას არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).

ბასს 8- ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

ცვლილებას არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე.

Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები – ფასს 16-ის შესწორებები (გამოცემულია 2021 წლის 31 მარტს და ძალაშია 2021 წლის 1 აპრილს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის)

2020 წლის მაისში გამოიცა ფასს 16-ის შესწორებები, რომელიც მოიცავდა არასავალდებულო პრაქტიკულ მიზანშეწონილობებს მოიჯარეებისათვის, რათა შეეფასებინათ Covid19-თან დაკავშირებული იჯარის დათმობები, რამაც გამოიწვია 2021 წლის 30 ივნისისთვის/ივნისამდე გადასახდელი საიჯარო გადახდების შემცირება, არის თუ არა იჯარის მოდიფიკაცია. 2021 წლის 31 მარტს გამოქვეყნებულმა შესწორებამ გაახანგრძლივა პრაქტიკული მიზანშეწონილობების ვადა 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე.

ცვლილებას არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე.

გადავადებული გადასახადი დაკავშირებული აქტივებსა და ვალდებულებებთან რომლებიც წარმოიქმნება ერთი ოპერაციისგან - ბასს 12-ის შესწორებები (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 12-ის შესწორებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა გარიგებებზე, როგორებიცაა იჯარები და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები.

განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმო თავისუფლდება გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ის პირველად აღიარებს აქტივებს ან ვალდებულებებს. უწინ იყო გაურკვეველობა იმის თაობაზე, თავისუფლდებოდა თუ არა ისეთ გარიგებები, როგორებიცაა იჯარები და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები - გარიგებები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, გათავისუფლება არ ვრცელდება და სუბიექტები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ასეთ გარიგებებზე.

ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი გარიგებებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობენ დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას.

ცვლილებას არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე.

ზემოთ სხვაგვარად თუ არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „ყვარელი პალასი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

5. ძირითადი საშუალებები

	შენობა-ნაგებობა	მანქანა-დანადგარები	მიწა	ოფისის აღჭურვილობა	სასტუმროს ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალება	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
ისტორიული ღირებულება									
ბალანსი 31.12.2018	4,876,055	55,130	627,485	31,754	1,508,443	115,213	21,013	3,021,502	10,256,596
შეძენა	9,939,244	183,747	-	187,050	632,226	31,369	37,327	5,360,668	16,371,631
ჩამოწერა	-	-	-	-	5,732	-	-	8,382,169	8,387,901
ბალანსი 31.12.2019	14,815,299	238,877	627,485	218,803	2,134,937	146,582	58,340	-	18,240,325
შეძენა	18,240	5,855	-	3,214	60,864	4,065	7,888	27,306	127,431
ჩამოწერა	2,279,336	-	-	-	266,596	-	-	-	2,545,932
ბალანსი 31.12.2019	12,554,203	244,732	627,485	222,017	1,929,205	150,648	66,227	27,306	15,821,824
ცვეთა									
ბალანსი 31.12.2018	286,143	17,220	-	14,151	727,792	93,946	-	-	2,419,754
ცვეთა	269,845	23,318	-	12,274	111,600	10,754	20,932	-	448,723
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2019	555,988	40,538	-	26,425	839,392	104,700	20,932	-	2,868,477
ცვეთა	682,742	29,303	-	25,853	200,360	11,076	1,063	-	950,397
ჩამოწერა	874,029	-	-	-	254,141	-	-	-	1,128,171
ბალანსი 31.12.2019	364,701	69,841	-	52,277	785,611	115,776	21,995	-	2,690,703
ნარჩენი ღირებულება 31.12.2018	4,589,912	37,910	627,485	17,603	780,651	21,267	21,013	3,021,502	7,836,842
ნარჩენი ღირებულება 31.12.2019	14,259,311	198,339	627,485	192,379	1,295,545	41,883	37,408	-	15,371,848
ნარჩენი ღირებულება 31.12.2020	12,189,502	174,891	627,485	169,740	1,143,595	34,872	44,232	27,306	13,131,121

2020 წელს შპს „ყვარელი პალასმა“ სრულად მოახდინა ძველი სასტუმროს შენობა-ნაგებობის დემონტაჟი და დაიწყო ახალი სასტუმროს მშენებლობა

6. აქტივის გამოყენების უფლება

	აქტივის გამოყენების უფლება
ღირებულება	
ბალანსი 31.12.2018	-
შემენა	64,781
ჩამოწერა	-
ბალანსი 31.12.2019	64,781
შემენა	-
ჩამოწერა	-
ბალანსი 31.12.2020	64,781
ცვეთა	
ბალანსი 31.12.2018	-
ცვეთა	4,319
ჩამოწერა	-
ბალანსი 31.12.2019	4,319
ცვეთა	6,478
ჩამოწერა	-
ბალანსი 31.12.2020	10,797
ნარჩენი ღირებულება	
ბალანსი 31.12.2018	-
ბალანსი 31.12.2019	60,462
ბალანსი 31.12.2020	53,984

7. არამატერიალური აქტივები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
პროგრამული უზრუნველყოფა	140,890	150,745
სხვა არამატერიალური აქტივები	16,723	29,475
ინტელექტუალური საკუთრება	1,135	1,263
სულ არამატერიალური აქტივები	158,748	181,483

8. ფული და ფულის ექვივალენტები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	54,695	70,626
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	10,323	203,981
სალარო	11,067	4,969
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	76,085	279,576

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
მოთხოვნები სასტუმროს ოპერაციებიდან	72,173	77,769
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	906	479
საექვო და უიმედო ანარიცხების რეზერვი	(23,628)	(16,663)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	49,451	61,585

საექვო და უიმედო ანარიცხების რეზერვი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	360+	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12,920	8,607	4,691	24,945	9,860	12,055	73,079
რეზერვამდე პროცენტი	0%	2%	5%	25%	50%	100%	
რეზერვი	-	172	235	6,236	4,930	12,055	23,628

საექვო და უიმედო ანარიცხების რეზერვი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	360+	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,458	4,859	15,369	33,939	14,624	-	78,248
რეზერვამდე პროცენტი	0%	2%	5%	25%	50%	-	
რეზერვი	-	97	768	8,485	7,312	-	16,662

10. გადახდილი ავანსები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
წინასწარ გადახდილი გადასახადები	75,093	49,473
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	52,809	42,377
სულ გადახდილი ავანსები	127,902	91,850

11. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
სასტუმროს მარაგები	124,614	105,733
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	21,063	37,790
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	145,677	143,523

12. წმინდა საგადასახადო ვალდებულება/აქტივი

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
მოგების გადასახადი	(20,227)	(16,727)
საშემოსავლო გადასახადი	(446,325)	(319,764)
სხვა საგადასახადო ვალდებულება	(9,429)	(10,925)
გადასახდელი დღგ	538,456	719,615
ქონების გადასახადი	(101,482)	(101,482)
მიწის გადასახადი	(58,914)	(58,914)
სულ საგადასახადო აქტივი	(97,921)	211,803

13. მიღებული სესხები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
გრძელვადიანი სესხები	2,001,000	8,861,630
მოკლევადიანი სესხები	-	1,774,955
გადასახდელი პროცენტები	13,151	139,657
სულ მიღებული სესხები	2,014,151	10,776,242

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკისგან მიღებული სესხები შეადგენდა 4,363,401 ლარს, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 9,295,852 ლარს. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკისგან მიღებულმა სესხის ნაშთმა შეადგინა 2,001,000 ლარს. საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 12-14%-ში. ბანკისგან მიღებული სესხი კომპანიამ გამოიყენა ახალი სასტუმროს მშენებლობისთვის.

2020 წელს კომპანიამ სრულად დაფარა სასესხო ვალდებულება ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ, რომლის ნაშთიც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 1,065,779 და 156,272 ლარს.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	120,479	691,187
ვალდებულება ფიზიკური პირების მიმართ	3,401	12,504
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	123,880	703,691

15. მიღებული ავანსები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს "ყვარელი პალასის" მიღებული ავანსები შეადგენდა 83,332 ლარს, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 40,763 ლარს. მიღებული ავანსების ძირითადი ნაწილი არის მომხმარებლების მიერ წინასწარი ჯავშნებისთვის გადახდილი თანხები.

16. საიჯარო ვალდებულება

ბალანსი 01.01.2019	-
ზრდა	64,781
დარიცხული პროცენტი	5,898
გადახდილი ძირი	(8,000)
ბალანსი 31.12.2019	62,679
დარიცხული პროცენტი	7,502
გადახდილი ძირი	(8,000)
ბალანსი 31.12.2020	60,181

17. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 6,584,508 ლარს. 2019 წელს კომპანიის მშობელმა საწარმომ, შპს „აგროგანვითარებამ“ განახორციელა საწესდებო კაპიტალში ფულადი შენატანი 569,090 ლარის ოდენობით. შედეგად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 7,153,598 ლარს.

2020 წელს შპს „აგროგანვითარებამ“ განახორციელა შპს „ყვარელი პალასის“ კაპიტალში შენატანი 7,101,528 ლარის ოდენობით. შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ყვარელი პალასის“ საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 14,255,126 ლარი.

18. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2020 წ.	2019 წ.
სასტუმროს საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	1,322,082	1,205,563
რესტორნიდან მიღებული შემოსავალი	987,619	935,396
საიჯარო შემოსავალი	20,044	64,376
სხვა შემოსავალი	89,375	37,707
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	2,419,120	2,243,042

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მომხმარებლებისთვის სასტუმროს მომსახურების მიწოდება. გარდა ამისა, კომპანია შემოსავალს აგენერირებს იჯარიდან. თუმცა, მთავარი შემოსავლის წყარო სასტუმროს საქმიანობიდან მიღებული შემოსავალია.

19. თვითღირებულება

	2020 წ.	2019 წ.
მასალები	631,811	430,339
ღონისძიების და სხვა აქტივობების ხარჯი	19,283	18,828
სხვა ხარჯები	111,396	72,734
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	-	4,055
სულ თვითღირებულება	762,490	525,956

20. საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020 წ.	2019 წ.
კომუნალური ხარჯი	191,912	133,673
საგადასახადო ხარჯი	132,832	83,124
რემონტის ხარჯი	84,891	79,800
სხვა ხარჯი	58,601	55,592
მარკეტინგის ხარჯი	52,622	55,393
საკონსულტაციო ხარჯები	47,451	103,030
დაცვის ხარჯი	32,623	21,842
საბანკო ხარჯები	24,894	41,533
საწვავის ხარჯი	21,390	26,872
დაზღვევის ხარჯი	6,663	7,316
იჯარის ხარჯი	5,518	14,347
ოფისის ხარჯი	4,100	15,918
კომუნიკაციის ხარჯი	2,863	16,332
კომპიუტერის ხარჯები	1,174	4,246
საპენსიო ხარჯი	-	20,833
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	-	11,417
საკომისიო ხარჯი	-	65,471
ლოჯისტიკის ხარჯები	-	1,344
სულ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი	667,534	758,083

21. საპროცენტო ხარჯი

	2020 წ.	2019 წ.
ბანკისგან მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი	911,970	228,034
ფიზიკური პირებისგან მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი	80,006	47,303
იურიდიული პირებისგან მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი	80,554	34,665
საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტი	7,502	5,898
სულ საპროცენტო ხარჯი	1,080,032	315,900

2019 წელს შპს „ყვარელი პალასი“ ბანკისგან მიღებული სესხის პროცენტის ძირითადი ნაწილი, 787,068 ლარი, დააკაპიტალიზირა ახალი სასტუმროს შენობაში. 2020 წელს ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯის კაპიტალიზაციის პროცესი შეწყდა, ვინაიდან დასრულდა მოცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის საჭირო ყველა აქტიური სამუშაო.

22. საპროცენტო შემოსავალი

შპს „ყვარელი პალასი“ საპროცენტო შემოსავალი მოიცავს ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებულ საპროცენტო სარგებელს. 2020 წლის განმავლობაში დარიცხულმა სარგებელმა შეადგინა 215,551 ლარს, ხოლო 2019 წელს - 313 ლარს. ანაზღაურების საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 1.5%-2% - მდე.

23. არასაოპერაციო ხარჯი

	2020 წ.	2019 წ.
შენობის ჩამოწერის ხარჯი	1,359,731	-
კომპენსაცია	18,485	5,853
სარემონტო ხარჯი	49,153	-
ვალის პატიება	1,149	-
საქველმოქმედო ხარჯი	1,000	-
სხვა	4,334	7,908
ჯარიმა	400	500
სულ არასაოპერაციო ხარჯი	1,434,252	14,261

2020 წელს შპს „ყვარელი პალასი“ სრულად მოახდინა ძველი სასტუმროს შენობის დემონტაჟი და დაიწყო ახალი სასტუმროს მშენებლობა, რამაც გამოიწვია 2020 წლის არასაოპერაციო ხარჯის მნიშვნელოვნად გაზრდა.

24. არასაოპერაციო შემოსავალი

	2020 წ.	2019 წ.
ვალის პატიება	1,399,188	-
სახელმწიფო შეღავათი	261,697	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	10,265	19,578
მარაგების ზედმეტობა	-	18,615
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	1,671,150	38,193

2020 წელს შპს „ყვარელი პალასი“ დაკავშირებული იურიდიული პირისგან მიიღო სესხი, 1,620,00 ლარის ოდენობით. ამავე წელს კომპანიებს შორის მოხდა შეთანხმება ვალის პატიებასთან დაკავშირებით, რის მიხედვითაც შპს „ყვარელი პალასი“ სასესხო ვალდებულება შეუმცირდა 1,399,188 ლარის ოდენობით.

25. გრანტის შემოსულობა

	2020 წ.	2019 წ.
გრანტის შემოსულობა	1,396,555	132,497
სულ გრანტის შემოსულობა	1,396,555	132,497

კომპანიის გრანტის შემოსულობა არის სსიპ "აწარმოე საქართველოში"-სგან და EBRD თანადაფინანსებით მიღებული შემოსავლები, რომლის მიზნობრიობა გახლდათ გადასახდელი პროცენტის თანადაფინანსება.

სსიპ „აწარმოე საქართველოში“-სგან მიღებული თანადაფინანსების თანხა შეადგენდა 485,549 ლარს, ხოლო EBRD მიერ, საქართველოში ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული EU4BUSINESS EBRD პროექტის ფარგლებში, დაფინანსებამ შეადგინა 911,006 ლარი.

26. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

27. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

31.12.2020	აშშ დოლარი	ევრო	ლარში	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	49,451	49,451
ფული და ფულის ექვივალენტები	9,832	44,863	21,390	76,085
გადახდილი ავანსები	-	-	127,902	127,902
სულ ფინანსური აქტივები	9,832	44,863	198,743	253,438
ფინანსური ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	-	-	2,001,000	2,001,000
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	123,881	123,881
მოკლევადიანი სესხები	-	-	13,150	13,150
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	2,138,031	2,138,031
წმინდა პოზიცია	9,832	44,863	(1,939,288)	(1,884,593)

31.12.2019	აშშ დოლარი	ევრო	ლარში	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	61,585	61,585
ფული და ფულის ექვივალენტები	59,349	11,277	203,981	274,607
გადახდილი ავანსები	-	-	91,850	91,850
სულ ფინანსური აქტივები	59,349	11,277	357,416	428,042
ფინანსური ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	-	-	8,861,630	8,861,630
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	703,691	703,691
მოკლევადიანი სესხები	-	-	1,914,612	1,914,612
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	11,479,933	11,479,933
წმინდა პოზიცია	59,349	11,277	(11,122,517)	(11,051,891)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს. მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს, გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე, რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 31 დეკემბრისთვის 2020 -2019 წლებში მოცემულია ქვემოთ:

31.12.2020	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	49,451	-	-	49,451
ფული და ფულის ექვივალენტები	76,085	-	-	76,085
გადახდილი ავანსები	127,902	-	-	127,902
სულ ფინანსური აქტივები	253,438	-	-	253,438
ფინანსური ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	-	2,001,000	-	2,001,000
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	123,881	-	-	123,881
მოკლევადიანი სესხები	13,150	-	-	13,150
სულ ფინანსური ვალდებულებები	137,031	2,001,000	-	2,138,031
წმინდა პოზიცია	116,407	(2,001,000)	-	(1,884,593)
31.12.2019	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	61,585	-	-	61,585
ფული და ფულის ექვივალენტები	274,607	-	-	274,607
გადახდილი ავანსები	91,850	-	-	91,850
სულ ფინანსური აქტივები	428,042	-	-	428,042
ფინანსური ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	-	6,861,630	2,000,000	8,861,630
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	703,691	-	-	703,691
მოკლევადიანი სესხები	1,914,612	-	-	1,914,612
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,618,303	6,861,630	2,000,000	11,479,933
წმინდა პოზიცია	(2,190,261)	(6,861,630)	(2,000,000)	(11,051,891)

28. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან მაღალატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

	31.12.2020		31.12.2019	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	49,451	49,451	61,585	61,585
ფული და ფულის ექვივალენტები	76,085	76,085	274,607	274,607
გადახდილი ავანსები	127,902	127,902	91,850	91,850

გრძელვადიანი სესხები	2,001,000	2,001,000	8,861,630	8,861,630
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	123,881	123,881	703,691	703,691
მოკლევადიანი სესხები	13,150	13,150	1,914,612	1,914,612

29. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“ წარმოადგენს:

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანაფლობილები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუუმებს.
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

დაკავშირებული მხარის დასახელება	ოპერაციის შინაარსი	2019 წელს განხორციელებული ოპერაციის თანხა
მშობელი საწარმო	კაპიტალში შენატანი	569,090
მშობელი საწარმო	იჯარის ხარჯი	8,000
დაკავშირებული ფიზიკური პირი	მიღებული სესხი	1,065,779
დაკავშირებული ფიზიკური პირი	საპროცენტო ხარჯი	47,303
დაკავშირებული ფიზიკური პირი	დებიტორული დავალიანება	13,471

დაკავშირებული მხარის დასახელება	ოპერაციის შინაარსი	2020 წელს განხორციელებული ოპერაციის თანხა
მშობელი საწარმო	კაპიტალში შენატანი	5,908,440
მშობელი საწარმო	იჯარის ხარჯი	10,000
დაკავშირებული ფიზიკური პირი	კაპიტალში შენატანი	1,193,088
დაკავშირებული იურიდიული პირი	მიღებული სესხი	1,620,000
დაკავშირებული იურიდიული პირი	მიღებული სესხის გადახდა	522,476
დაკავშირებული ფიზიკური პირი	დებიტორული დავალიანება	17,247
დაკავშირებული ფიზიკური პირი	დებიტორული დავალიანება	9,483
დაკავშირებული ფიზიკური პირი	დებიტორული დავალიანება	2,099

მენეჯმენტის ანაზღაურება:

მენეჯმენტის ანაზღაურება 2020 წელს შეადგენს 79,003 ლარს, ხოლო 2019 წელს - 89,052 ლარს.

30. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე კოვიდ-19 პანდემიის გავლენის შესამცირებლად. საოპერაციო პროცესები მიმდინარეობდა კომპანიაში ყველა წესებისა და რეგულაციების დაცვით.

არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ზემოაღნიშნული ღონისძიებების სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან.

31. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 28 სექტემბერს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

შპს „ყვარელი პალასი“

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

\

სარჩევი

კომპანიის შესახებ	3
მმართველობა და სტრუქტურა.....	3
საქმიანობის მიმოხილვა	4
ფინანსური შედეგები	5
განვითარების გეგმები	6
საოპერაციო რისკები	6
რისკის მართვა	6
ფინანსური რისკები	7

კომპანიის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ყვარელი პალასი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 241582649), დარეგისტრირებულია საქართველოში. იგი დაარსდა 2009 წლის 29 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ყვარელი, ჭავჭავაძის ქ. N52.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მომხმარებლებისთვის *სასტუმროს მომსახურების მიწოდება*. სასტუმრო მდებარეობს კახეთში და ფუნქციონირებს საბაზრო სახელით „ყვარლის ტბა“.


2018 წლის 17 იანვრამდე, კომპანიის დამფუძნებლები იყვნენ:

თამაზი კონჭოშვილი 7.65%
 კახაბერი კონჭოშვილი 2.55%
 შპს აგროგანვითარება 89.8%

ხოლო 2018 წლის 17 იანვრიდან შპს „აგროგანვითარება“ გამოისყიდა წილი დანარჩენი მესაკუთრეებისგან და გახდა კომპანიის 100%-ის მესაკუთრე.

2020 წელს კომპანიის დირექტორი შეიცვალა და დირექტორი გახდა ლევან ვაშაკიძე.

მმართველობა და სტრუქტურა



საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სასტუმრო და მასთან დაკავშირებული სერვისები. სასტუმროში განთავსებულია:

- 66 სასტუმრო ნომერი;
- 1 ღია აუზი;
- 2 ბარი;
- 2 რესტორანი;
- სპა;
- სამსახურო ოთახი


სასტუმრო ემსახურება როგორც ფიზიკურ, ასევე კორპორატიულ კლიენტებს. კომპანიის მიერ შემოთავაზებული პროდუქტებისა და სერვისების ჩამონათვალი:

სასტუმროში განთავსება	
სარესტორნო მომსახურება	
საკონფერენციო და სხვა ღონისძიებების გამართვა	
სპა მომსახურება	

პროდუქტებისა და სერვისების გაყიდვა ხორციელდება სხვადასხვა არხების საშუალებით:

- ✚ ინტერნეტ გაყიდვებით (კომპანია იყენებს რამდენიმე პლატფორმას);
- ✚ სატელეფონო გაყიდვებით;
- ✚ პირდაპირი კორპორატიული გაყიდვებით;
- ✚ ტურისტულ კომპანიებთან თანამშრომლობით.

2020 და 2019 წლის მონაცემებით შემოსავლები პროდუქტების მიხედვით იყოფა შემდეგნაირად:



*თანხები მოცემულია ლარში


სასტუმროსთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მომხმარებელთა კმაყოფილება. სწორედ ამიტომ კომპანია ცდილობს თითოეულ თანამშრომელს დაანახოს მათი მნიშვნელობა სტუმრების კმაყოფილების ზრდაში.

პერიოდულად მიმდინარეობს გარკვეული დეპერტამენტების უფროსების და თანამშრომლების გადამზადება, საკვალიფიკაციო კურსების დაფინანსება, მათი პროფესიული დონის ასამაღლებლად.

ფინანსური შედეგები


2020 და 2019 წელს სასტუმროში სრულად ფუნქციონირებდა 66 ნომერი, 2018 წელს კი 25 ნომერი.

დიაგრამა გვიჩვენებს კომპანიის საერთო მოგებას 2020 და 2019 წლებისთვის.



*თანხები მოცემულია ლარში

დიაგრამა გვიჩვენებს კომპანიის პერიოდის შედეგს (ზარალს) 2020 და 2019 წლებისთვის.



*თანხები მოცემულია ლარში

კომპანია საქმიანობის ფინანსური შედეგების შესაფასებლად იყენებს შემდეგ ძირითად მაჩვენებლებს:

ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები:

წმინდა მოგების მარჟა = წმინდა მოგება / ამონაგები

უკუგება კაპიტალზე = წმინდა მოგება / მთლიანი კაპიტალი

უკუგება აქტივებზე = წმინდა მოგება / მთლიან აქტივები

	2020	2019
წმინდა მოგების მარჟა = წმინდა მოგება / ამონაგები	(0.21)	(0.34)
უკუგება კაპიტალზე = წმინდა მოგება / მთლიანი კაპიტალი	(0.05)	(0.16)
უკუგება აქტივებზე = წმინდა მოგება / მთლიან აქტივები	(0.04)	(0.05)

განვითარების გეგმები

მიუხედავად Covid-19 გამოწვეული მნიშვნელოვანი ცვლილებებისა, კომპანია მზად არის ბიზნესის განვითარებისთვის და მომხმარებლებისთვის უკეთესი მომსახურების შეთავაზებისთვის. 2021 წელს კომპანიის მშობელმა საწარმომ, შპს „აგროგანვითარება“, მიიღო დაფინანსება „აწარმოე საქართველოში“-სგან ახალი სასტუმროს მშენებლობისთვის. პროექტის მიხედვით სასტუმრო დაკომპლექტებული იქნება:

- ✓ საცურაო აუზი
- ✓ საკონფერენციო დარბაზი
- ✓ გასართობ მოედანი.

პროექტის ფარგლებში მზადდება განვითარების სტრატეგია და დეტალური ბიზნეს გეგმა. კომპანია ახალი სასტუმროს მშენებლობას გეგმავს გრძელვადიანი საბანკო სესხის გამოყენებით.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა სასტუმრო საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორებიცაა: რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი.

კომპანიის გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია სასტუმროს ბიზნესის საქმიანობასთან დაკავშირებული საოპერაციო და ფინანსური რისკების განსაზღვრა, შეფასება და სწორი მენეჯმენტი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანია დადგა რისკისა და გაურკვევლობის წინაშე, რაც გამოწვეულია COVID-19-თან დაკავშირებული გლობალური პანდემიით.

საოპერაციო რისკები

სასტუმროს ძირითად საოპერაციო რისკებად შეიძლება განვიხილოთ სტუმრებისა და პერსონალის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და პირადი ქონების დაცვა, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება, მობინადრეთა და პერსონალის სწრაფი ევაკუაცია, მობინადრეთა სიცოცხლისა და პირადი ქონების დაცვა, სასტუმროში შეღწევის შეზღუდვა, ვიდეო კონტროლი, ასევე მობინადრეთა კვებასა და სასმელ წყალზე უსაფრთხოება, ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა.

რისკის მართვა

ყოველივე ზემოაღნიშნულის მისაღწევად სასტუმროს გააჩნია 24 საათიანი დაცვა. დაცვის ყველა თანამშრომელი სისტემატურად გადის ტრენინგებს, როგორც პირველადი დახმარების აღმოჩენის

საკითხებში, ასევე საგანგებო სიტუაციებში მოქცევის წესების დასაცავად. სასტუმრო აღჭურვილია ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით და ტექნიკით.

სტუმრებისთვის მაღალი ხარისხის საკვების და სასმელის მისაწოდებლად სასტუმრო თანამშრომლობს მხოლოდ შესაბამისი სერტიფიკატების მქონე დისტრიბუტორებთან. ასევე კომპანია ახორციელებს სხვადასხვა დასახელების ეკოლოგიურად სუფთა მაღალი ხარისხის პროდუქციის შეძენა-ტრანსპორტირებას საქართველოს რეგიონიდან.

ასევე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესი, რაც სასტუმროს ინდუსტრიაში შეიძლება განვიხილოთ არის კომპანიის სახელის, როგორც ბრენდის დაცვა. ხელმძღვანელობა გამუდმებით მუშაობს სასტუმროს რეპუტაციისა და მაღალი სტანდარტების დამყარებაზე. ამისთვის კომპანია მუდმივად ზრუნავს მისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები, თუმცა ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნული რისკი არ არის არსებითი. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

შპს „ყვარელი პალასი“-ს დირექტორი:

ლევან ვაშაკიძე _____

საკითხებში, ასევე საგანგებო სიტუაციებში მოქცევის წესების დასაცავად. სასტუმრო აღჭურვილია ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით და ტექნიკით.

სტუმრებისთვის მაღალი ხარისხის საკვების და სასმელის მისაწოდებლად სასტუმრო თანამშრომლობს მხოლოდ შესაბამისი სერტიფიკატების მქონე დისტრიბუტორებთან. ასევე კომპანია ახორციელებს სხვადასხვა დასახელების ეკოლოგიურად სუფთა მაღალი ხარისხის პროდუქციის შეძენა-ტრანსპორტირებას საქართველოს რეგიონიდან.

ასევე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესი, რაც სასტუმროს ინდუსტრიაში შეიძლება განვიხილოთ არის კომპანიის სახელის, როგორც ბრენდის დაცვა. ხელმძღვანელობა გამუდმებით მუშაობს სასტუმროს რეპუტაციისა და მაღალი სტანდარტების დამყარებაზე. ამისთვის კომპანია მუდმივად ზრუნავს მისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები, თუმცა ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნული რისკი არ არის არსებითი. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

შპს „ყვარელი პალასი“-ს დირექტორი:

ლევან ვაშაკიძე

